



ახალი

სიტყვა

№ 2.

ორკვირეული ქურნალი.

№ 2.

შემდეგი ნომერი გამოვა 31 მარტს.

მიიღება ხელის მოწერა ორკვირეულ, სასულიერო მთავრობისაგან დამოუკიდებელურნალ „ახალ სიტყვაზე“¹-ზე.

შურნალის მიზანია საქართველოს ეკლესიის ფაქტიური განახლება წმ. სახარების ნიადაგზედ და ბრძოლა ყოველგვარ ჩაგრა-უსამართლობასთან სასულიერო უწყებაში.

გაზეთი დააარსა ყოფილ გაზეთ „სიტყვის“ (1906 წ.) ფაქტიურ ხელმძღვანელთა თაოსნობით თბილისის და საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამღვდელოების და მორწმუნებრის კაცთა ჯგუფში.

საგამომცემლო ამხანაგობის საწევრო გადასახადი (თითო პაი) ათი თუმანია, რომელიც შეიძლება შემოტანილ იქმნეს ორ ნაწილად.

ხელისმოწერის ფასი ექვი თვით ცხრა მანეთი, თუ ბეჭვდის პირობები არ შეიცვალა. ცალკე ნომერი თოხი აბაზი.

საწევრო გადასახადი და ხელისმოწერის ფასი მიიღება რედაქციის მოლარე დეკანოზ ანტონ თოთიბაძესთან: თბილისი, სიონის სა-

კაოგდრო ტაძრის ეზო.

დამფუძნებელთა მიერ არჩეული სარედაქტო კოლეგია სთხოვს თანამთაზრეთ დააჩქარონ საწევრო გადასახადის „შემოტანა, ვინაიდგან, გამოცემის ფრიად გაძირების გამო, ფულის დროზე მიღებისგან ბევრად დამოკიდებულია გაზეთის გაფართოვება და ყოველნაირი გაუმჯობესება.

გარდა სამღვდელოების და კერძო მორწმუნე ერის კაცთა, რომელთა მხურვალე მონაწილეობაში ყოფილ „სიტყვის“ მაგალითით სრულიად დარწმუნებული ვართ, კონკრეტ განახლებულ ეკლესიის აღვილობრივ მესკეურთ — სამრევლო საბჭოებს აღმოგვიჩინიან ქონებრივი დახმარება, გარდა გაზეთის გამოწერისა საგამომცემლო პარტიის შემოტანით მათ დამორწმუნებულ ეკლესიების თანხიდან.

სარედაქტო მასალები და წერილები უნდა გამოიგზავნოს სარედაქტო კოლეგიის რწმუნებულ მღვდელი. ქ. ციცქაშვილთან: თბილისი, 7 ნაწ., კაბგეროვის ქ., № 47.

რედაქცია იმავე ქუჩაზე, № 51.

1918 წლის 12 მარტი.

ერთი წელიწადი შესრულდა, რაც საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა მცხეთის საპატიოარქო ტაძარში და საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობას უშიშრად ჩაუდგა სათავეში დღევანდელი თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდი. რამდენადაც სასიხარულო იყო ეს ამბავი ქართველთათვის, იმდენად შეუწყნარებელი და მიუღებელი აღმოჩნდა როგორც აქაურ რუსობისათვის, რომლის ბელადობაც თავს იდვა ნაეგზარხოსალმა

პლატონმა, ისე მაშინდელ რუსეთის „რევოლუციონურ მთავრობისათვის“. პლატონ ნაეგზარხოსალი პირდაპირ დაემუქრა მიტროპოლიტ ლეონიდს, ნუ გავიწყდებათ, რომ რუსის ჯარმა შეიძლება თავი გამოიდოს ჩემთვისათ. და ამ მუქარის შესაფერისი ავიტაციაც დაიწყო რუსის ჯარებში თბილისში რუს მღვდლების და ერასკაცების შემწეობით. ისე საშიში შეიქმნა მღვმარეობა, რომ იყო ღლები და ღამეები, როდესაც საღდათების ბრძოს უნდა მიეყო ხელი ქართველ სამღვდელოების ელეტისათვის, რაც უნდა დაწყებულიყო მიტ.

ლენინიდიდან. არა ნაკლების უძრის ყოფით შეხვდა „რევოლუციონური“ სამინისტრო ხა-ჯართველოს ავტოკეფალიის საკითხს. ჯერ იყო და 27 მარტს მთავრობამ იცნო მხოლოდ ექ-სტერრიტორიული ავტოკეფალია ჩვენი ეკლესიისა. მერე კი პროფ. ბენეშევიჩის წყალო-ბით შეეცადა ამისთვისაც ბოლო მოეღო. მა-გრამ კაცი ბჭიბს, ღმერთი განაგებსო, ნათ-ქვამია. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდე-ბლობის საკითხი დღეს შეგვიძლია ისე გადავ-ჭრათ, როგორც არ უნდადა, არც რუსეთის მთავრობას და არც, მით უმეტეს, რუსეთის სინოდს, — საქართველოს ეკლესია უნდა გა-მოცხადდეს სრულ უფლებიანად, მას უნდა მი- გცემს ტერრიტორიული ხასიათი, როგორც აქვთ უვილა აღმოსავლეთის ეკლესიებს. წლისთვის მადლობით უნდა მოვიხსენიოთ ის პირნი, რო-მელთაც თავს იდვეს ამ დიდი საქმისათვის მო-ლვაწეობა და შრომა, რომელთაც მიიყვანეს საქმე 1917 წლის 8 სექტემბრამდის. არ შე-გვიძლია მკითხველის ყურადღება არ შევაჩ-როთ იმათ სახელებზე, რომელნიც არ ეკუთ-ვნიან სასულიერო წოდებას და არც სასული-ერო უწყებათა დაწესებულებებში მსახურობ-დენ, მაგრამ განსაკუთრებული გალწრფელო-ბით ემსახურებოდენ ამ დიდ საქმეს. ასეთები არიან მაგილოთად: ვ. გაბაშვილი, მ. მაჩაბელი, პ. გოთუა, პეტრე გარაოშვილი, ი. რატიშვი-ლი, და სხვანი. ზოგიერთი მათგანი დაუზა-რებოდა, მხოლოდ საქმისადმი სიყვარულით, სწავლენ დიდ მუშაობის, მოგზაურობდენ საქ. ეკლესიის დროებით მმართველობის დავალე-ბით საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში და აგრეთვე იმას იქითაც. მათის დახმარებით აღ-გილობრივა მთავრობამ, განსაკუთრებით მისმა წარმომადგენელმა აკაცი ჩეგნელმა, რომელიც თავიდანვე გადაჭრით და გარკვეულით იმ აზრს დადგა, რომ ქართველ მორწმუნება საქმეები მათვე უნდა ჩაბარდეს უდაფოთათ, — საქ. ეკ-ლესის დოკებით მთავრობას ჩაბარა მი-სი ქონება, საქოთოლიკოსო ხასია და მაგრაუ მთავრებინა ფეხი ყოფილ სინოდალურ კან-ტორის შენობაში.

შევრი საყვარულს აცხადებიდა, მტრი უნდა გაკეთებულიყოვთ, შეგრამ ბევრნაირი დაბრ-

კოლება ეღლობებოდა წინ საქმეს, თუ მთავ-რობის წინამდებარებისა, თუ შინაური გარე-მოებაც. მართალი რომ სთვას კაცმა, ავტო-კეფალიის საქმეში ზოგიერთი შინაურთაგანი სრულიად შემთხვევით და გაუგებრობით გა-რიეს. ზოგიერთ მათგანის მოღვაწეობას ინ-ტრიგების და მოღალატეობის მკაფიო ბეჭედი აზის და ასეთები ხელს უშლილენ უფრო ინ-ტენსიურს მუშაობას. მაინც, ავად, თუ კარ-გად, დროებითმა მმართველობამ საქმე საქმეზე მიიყვანა და მთახდინა საეკლესიო კრება, რო-მელზედაც თითქმის მთელ საქართველოს წარ-მომაღენლებმა მოყვარეს თავი. ეს პირველი ნაბიჯი იყო საქართველოს გაერთიანების გზა-ზე გადადგმული, წინამორბედი საქართველოს საერთონო კრებისა. კრების ნამუშევარი საყუ-რაღლებოა, თუმცა ჯერ საყოველოთიდ გამო-ქვეყნებული და შეფასებული არ არის. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ საეკლე-სიო კრებაზე არა სასურველმა პირადობა იჩინა თავი, რამაც ის ნაყოფი მოიტანა, რომ საეკ-ლესიო საქმეებში ძველებური პატი დატრი-ალდა. საქმის მეთაურობა, ზოგიერთ შემთხვე-ვაში, ჩაუვარდა შეუფერებელ პირთ. ისეთი შემ-თხვევაც იყო, რომ ერთ ერთი ქართველი ეპისკოპოზი, ფრიდ განათლებული და პატი-ოსანი, სრულიად უყურადღებოდ რჩებოდა მი-ტრებული, რომ რამოდენიმე პირს არ მიე-თითებია კრების წევრებისა და ახლად არჩეულ ეკლესიის თავისითვის ასეთ უსამართლობაზე. ამ არა სასურველმა მიმდინარეობამ მოიტანა ის ნაყოფი, რომ ჩეგნი საეკლესიო საქმეები კრების დასრულების შეძლევ დღემდე შეჩერე-ბულია. ამში დარწმუნდება ყველა, ვინც გა-დაავლებს თვილს 1917 წ. 12 მარტიდან ნამო-ქმდარს ენ კენისთვის კრებამდის და მის შემდეგ.

და ღღეს ჩეგნ შეგვიძლია ვთქვათ: ჩეგნი ეკლესიის დამოუკიდებლობა დაგვირგვინდა იშით, რომ ეგზარხოსის კარეტით იმის შაგიგ-რად კათოლიკოსი დასეირნობს ხოლმე თბი-ლისის ქუჩებზე, რუსების გულისსაკლავალ, აღ-ბიდ, ან კიდევ იმაში, რომ ერთ ერთ კოფე-რიდან ექსორია ვუყავით ერთ ეპისკოპოსს და მის აღვილზედ დავსით იმაზე ბეჭრათ უშდა-რესი, მეტი რომ არა ვთქვათ. . .



საქართველოს ეკლესიის ეპირვება უანგარო მუშაკნი და ჩვენ დარწმუნებული ვართ წარსულის შეცდომებს დრო გაასწორებს, საეკლესიო ცხოვრება წესიტ კალაპოტში ჩადგება. მხოლოდ ჩვენი მოვალეობაა ასეთი მუშაკნი მოვძებნოთ და დავითასოთ. ისეთნი კი, რომელნიც უღირსად ქედმალლობენ, უკან დავსწიოთ და ჩუმი, მაგრამ გულწრფელი, მუშაკნი წინ წამოვაყენოთ, რომ გაგვინათლონ საფალი გზა თავდაბლობითა და სიყვარულითა თვისითა.

თავმოსაჭრელი სიჩუმე

თუ ადვილი არ იყო იმისი დაჯერება რასაც ჩვენს პირველ წერილში გამოვთქვამდით ერთ ერთ ქართველ მღვდელმთავარზე ცხადია, ფაქიზი ზნეობის ადამიანს საოცრებად ეჩვენება ის, რასაც ასე საღათ და მოქრიოთ გადმოგცემს იმავე პირის შესახებ ქვემოთ მოყვანილიოქმი.

„1917 წ. ივნისის 13ს დღესა. მე ქვემოთ ემისა ხელის მომწერმა ივანე თელოს-ძე მაისურაძემ მივეცი ასეთი ჩვენება: ალდგომის წინათ (არ მასოვს თვე და რიცხვი), ჯერ ისევ ახლად იყო დაწყებული ქართველების „ზასედანიები“, რომ ერთ ღმენება კანტორიდან წავედი შინ დასაძინებლად ჩემ სახლობის ნათესავთან მიხამვილთან, რომელიც ინჩხატის გასწვრივ, ბაგრატიონის ქუჩაში ცხოვრობს. ჩემზედ უწინ წავიდა კრებილამ ეპ. ანტონი და წაბანდა ანჩისხატის ქუჩით. სომოროსთან რომ გავიარე, იქ დავინახე ეპ. ანტონი და სომოროს მღვდელი დავ. ჩიკვაძე ერთად მოლაპარაკე. ეპისკოპოსმა მკითხა კიდევ, „ჩემი ფაიტონი არ მოვიდა“—ორ მე შინისაკენ შეუხვიყ, მაგრამ ვათვალიერებდი ეპისკოპოზეს, ამა საით წავა, რადგანაც მესმოდა ხოლმე, რომ ის რუსების ერთგულიათ. ჩიკვაძემ ფანჯარის დახურა და ეპისკოპოსი მოვიდა ბაგრატიონის ქუჩისაკენ და დაუხვირა ეგზარხოსის მოედნისაკენ. ამ ამბავში გამავირვა ეპვი დემებადა და შორი ახლოდან გავადევნე თვალი, თან გავყევი. მოედნზე დავინახე, რომ ეპისკოპოსი შევიდა ალაყაფის კარის პატარა „კალიტეაში“ და პირდაპირ ეგზარხოსის „პა-

დიეზდში“ შევიდა. ეს ჩემი თვალით გრძელებული შემიღლიან სინდისის ქვეშ სიმარლე გავიმეორო.

ჩვენება ესე მივეცი შემდეგი პირების თანა დასწრებით: დ. დავითაშვილის, დ. ნახუცრიშვილის, ს. წერეთლის, მ. მესხიშვილის და ნ. დევიძის თანა დასწრებითით. —მერე ხელი უწერით ნაჩვენებ პირებს...

ბრალდებულს საქმის გარემოებას ცოლნია მის მეგობარ-მახლობელ პირებს უცნობებიათ, რომ თქვენ შესახებ საზოგადოებაში მოღბულია მეტად ამაღლელვებელი ცნობები ვინმე მაისურაძესაგან და თქვენ ვალდებული ხართ თავი იმართლოთ საზოგადოების წინაშე მაასურაძის პასუხის გებაში მიეცემითო, მაგრამ უზრადლება არ მიუქცევია მოკეთეთა რჩევისა თვის და გამოუხებნია ასეთი გამოსავალი.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის ერთ სხდომაზე განუცხადებია: ხმებს მივრცელებენ, ვრთომც მე ამ მმართველობას ვღლატობდე და ფარულიდ ყველაზრის ვატყობინებდე იგზარხოს. ეს სულ სიცრუეა, მე ზნეობრივად ვისჯები ასეთი ხმების გავრცელებით და თუ თქვენ ასეთ ხმებს არ იჩიარებთ, გთხოვთ ნდობა გამომიცხადოთ. კრებაზე დამსწრე წევრებს ეპისკოპოსის თხოვნა შეუწყისარებიათ, გამოუცხადებიათ მისთვის ნდობა და ბრალდებულიც იმითი დაკმიყოფებულა.

რა ლირებულობისაა ამ გვარად ნდობის გამოცხადება, ან როგორ და რამდენად აქარწყლებს ეს ნდობის გამოცხადება მოყვანილი ოქმის შინაარსს, მკითხველებმა თვითონ გასაჯონ.

მოყვანილ ფაქტებზე კიდევ უფრო უმძიმეს დანაშაულს სდებენ ნაჩვენებ ეპისკოპოსის და, თუ ქალალდის საძირის გამო აღავი არ დაიშურა რედაქციამ, თავის დროზე ამაზედაც შესაფერ ცნობებს მივაწვდი მკითხველებს.

წერილი რედაქციის მიმართ.

მოძღვარო!

სწავლებას როგორ შეგებრებთ, მაგრამ რჩევისთვის, მგონია, არ გამკიცხავთ. სწავ-

ლით ბევრი არ მისწავლია, მაგრამ ფიქრით კი იმდენი მოფიქრნია ჩვენის ეკლესიის წალმა-უკულმართობაზე, რომ, როგორც ანდაზა ამ-ბობს, ჩემი ხნის აღამიანს სიზმარიც დაეჯერება.

დღეს ერთ უკულმართ გარემოებაზე მინ-და მიგითითოთ და შველა ვთხოვთ თქვენს კურთხეულ რედაქციას, რომელსაც განუზრა-ხავს ჩვენის ეკლესიის სახარების ნიადაგზედ გა-ნახლების შესახებ ხალხში საღი აზრების გა-ვრცელება.

ამ რაშია საქე. სულმნათი გაპრიელ ეპის-კოპოზისაგან გამიგონია და ქართულ კათეხის-მოშიაც ამოგიკითხე (1865 წლ. გამოცემა, გვერდი 128), რომ „მოუცილებელნი მღუდ-ლობის ხარისხი არაან სამნი: ეპისკოპოსი, მღუდელი და დიაკონი“.

საუბედუროთ, სწავლა არ შემწევს გამო-ვარკვით, ბერძნებმა, რუსებმა თუ ქართვე-ლებმა მოიგონეს ეს რაღაცა დეკანოზობა და არქიმანდრიოცობა, რასაც ასე თავდავიწყებით, ხანდახან გაგიუებამდე შეტრაფიან ჩვენი მღვდლე-ბი და ბერძნი. კათეხისმოდან კი ცხადია ჩემ-თვის, რომ დიაკონის, მღვდლის და ეპისკო-პოზის გარდა ყოველი სხვა სახელწოდება სა-სულიერო პირისა, კათალიკოზიდან მოყოლე-ბული მედავითნებდე, შეთხული და არა კა-ნონიური ყოფილა.

მაგრამ თუ სახელწოდებანი „კათალიკოზი“ „პატრიარქი“ და „მიტროპოლიტი“ კიდევ რაიმესთვის საჭიროა, სრულებით მეტი, უში-ნაარსო და დრომოქმულია სახელები „დეკა-ენზი“, „ბლალოჩინი“, „ილუმენი“, „არქი-მანდრიტი“ და სხვა მაგისთანები მავნებელი-ცაა. როგორც ისტორიული ნიშანი, აგრე ვთქვათ, დაღი ჩვენის ეკლესიის მონობისა და სამღვდლოების მიერ მისი გაყიდვა-გათახსი-ერებისა.

ამიტომ გთხოვთ, მოძღვარო, თქვენ მა-ინც დამოუკიდებელ „ხალ სიტუაცია“ რამდე-ნად შეიძლება გვერდი აუხვით ხოლმე ამ ზედ-მეტ სახელებსა. თუ უმაღლესი პირების სახე-ლების გამოცვლა და უბრალოდ, კათეხისმუ-რად „ეპისკოპოზად“ და სახელება რომე მოსა-ზრებით უხერხულია, არქიმანდრიოცის და დე-კანოზის სახელს მინც ნუ ახსენებთ, ნუ გა-

აქაქანებთ სარედაქციო წერილებში. გრიმიტოვა ვერას დაგაკლებენ, ჩვენ კი უზომოთ დაგი-მაღლებთ. თქვენ ნუ ანგბივრებთ მათ ამ სა-ხელებით და თვითონ კი ჩაც უნდა ის დაუ-ძახონ თავიანთ თავს და ერთმანეთისა. *)

თქვენი პატივმცემელი და თანამგრძნობი ივ. ნაკუებია.

წყეული ჯილდოვები.

არსებობს ერთი ფრიად საგულისხმო თქმულება.

როცა მეთვრამეტე საუკუნეში ქართვე-ლობამ რუსეთის ორიენტაციას მიაბრუო გუ-ლის ყური, აღა მაჰმად ხანმა ააოხრა საქარ-თველო და თბილისი დიაჭირა, გახარებული ნაზირ-ვეზირები დარწმუნებულნი იყვნენ და ამ მაღავლენები ხანის წინაშე, რომ ასეთი სის-ჯელის შემდეგ ქართველები სამუდამოდ გა-დაიგდებენ გულიდან რუსეთთან შეერთების სურვილსათ.

თქვენ ყველანი ბავშვებივით სცდებით, — გრძანა აღმოსავლეთის ჯალათმა: — რუსეთს ერთნაირი თილისმა აქვს, რითაც იგი ანდამა-ტივით იხიბლავს სანახაობა-კოხტაობის მოყვა-რულ ქართველს და ყველაფერს გააყიდინებს. ეს არის ის თვალის მჭრელი ლენტები და ბრჭყიალა ჩინ-მენდლები, რომელსაც რუსე-თის მეფები უხვად, მაგრამ მოფრქენებით არი-გებენო...

პირუთნელმა ისტორიამ სავსებით გაა-მართლა ეს ჩვენთვის სამარცხინო წინასარ-მეტყველება. ლენტები, მენდლები, ჩინები და ორდენები ერთი იმ უსამედოეს იარაღთანი იყვნენ, რითაც უკარალოდ იპყრობდა და აქა-წყლებდა მინდობალა საქართველოს მაკიავე-

*) რედაქციისაგან.

სიმონებით ვბეჭდავთ მხოლვან მოქალაქის და მორწმუნე ქართველის ივ. ნაკუებიას წერილსა და, ვსარგებლობთ რა ამ შემთხვევით, ვთხოვთ ჩვენს მკითხველებს ყოველნაირ ასეთ საკითხებზე მოურიდებლად მოგვაწვდინონ თავიანთი ხმა და აზრი, რასაც რედაქცია ეცდება თავის დროზე და-უთმოს ადგილი, თუ გინდ ამისთვის უურნალის გა-ფართოვებაც იქმნეს საჭირო.



ლურ პოლიტიკის მატარებელი რუსეთი. ჩერნის ერის მატიანემ იცის მრავალზე უმრავლესი შაგალითები, რომ ჩერნივე ძმები, ქართველები, წარჩინებულნიც კი, ჩინ-მენდლებ-ორდენებში ჰყილნენ სინიდისაც და სამშობლოსაც.

და მმ ზიზილპილების სიყვარულში არც სამღვდელოება ჩამორჩა სხვა წოდებათ და უწყებათ, — განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, როცა მწყემსობის მთელი ფასი მხოლოდ ეგრედ წოდებულ ფორმულიარით განიზომებოდა. ამ ფორმულიარის გასამშვენიერებლად საჭირო იყო ჯილდოები და მხოლოდ ჯილდოები. მაგრამ ეინადან ყოველი ბოძებული ჯილდო რუსის მთავრობის თვალში სათანადო კომპენსაციას მოითხოვდა — მთავრობის წინაშე უსირყვოდ ქედის მოხრას და მის ბრძანება-სურვილთა გადაჭარბებით შესრულებას, თუნდ სამშობლოს და ეკლესიის სახარალოდ, („ხელი ხელსა ჰბანს და თრივე პირსაო“), — სწორედ უნიჭო, მაგრამ სათნოიან ფორმულიარის მოტრიფიალე ნაწილი სამღვდელოებისა, რომელსაც წარჩინებისკენ სხვა გზა არ ებადა, ყოველ უმზავსო ზომებით ცდილობდა მთავრობის გულის მოგებას.

და ამ დაუგებოდა თუ არა ჯილდოებზე წარდგენის დრო — ზამთარი, ნამდვილი დოლი და აღლუმი იმართებოდა, აბა ვინ ვის და რა ზომით დაასწრებდა ჯილდოს მიღებას. გაჩაღდებოდა რაიმე საბაბით და ხშირად სულუმიზეზოდ მცხვლა მოსვლა „მამა ბლალოჩინთან“ და არქიელთან, — პირველთან გატენილ ხურჯინ ებით, მფორესთან ტკბილ სიტყვებით. მოხდებოდა ხოლმე, რომ არც მისი მეუფება იწუნებდა ხურჯინის შინაარს... ახლოვდებდდა ექვსი მაისი, როცა ხელმწიფის თუ სინოდის სახელით „საექლესიო უწყებათა“ 18—19 №-ში უნდა გამოცხადებულიყო დაჯილდოვებულთა სია, — და ჩვენს სამღვდელოებას ციებ-ცხელება უვარდებოდა, მოსვენებას და მადას ჰკარგავდა მოლოდინში, მოვხვდი თუ არა წარჩინებულთა სიაში...

თუ გინდ მარტო ეს საკმარისაა, რომ უკიდურეს საძაგლობად ჩაითვალოს მთელი ის დრო როცა ასეთი წესები სუფევდა, და მისი მოგონებაც კი შემრყვნელია გულის და სი-

ნიდისისა... წყეული ჯილდოები! რამდენი ადამიანი და რამდენი კეთილი საქმე გააფუ- კეს მათ!

მაგრამ წავიდა ის დრო და არა გვევნია რომ უკან დაბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში ჯილდოების შესახებ ეს უექველი უნდა ყო- ფილიყო მას შემდეგ, რაც სამოქალაქო და სამხედრო მთავრობამ მოსალოდნელი რევო- ლუციონური ზომები უკვე მიიღო. ჯერ კი- დევ კერძოსკის სამინისტრომ მოსპონ ჩინ-ორ- დენები და სამართლიანიდ აუკრძალო მათი ტა- რება იმათაც კი, ვისაც ისინი ადრე მიღებუ- ლი ჰქონდათ. სახალხო კომისართა საბჭომ ლოდიკური გაგრძელება მოახდინა: მოსპონ წო- დებრივი დაქუცმაცება და ყველას ერთი სა- ხელი მისცა — მოქალაქე. ეს ორივე განკარ. გულება უცვლელად განიმეორა კავკასიის კო- მისარიიატმა — და, როგორც ვიცით, ჩვენმა თა- ვად აზნაურობამ არამც თუ უარპყო წოდებ- რივი პრივილეგიები, ქონებაც კი ერს გადას- ცა. ბოლოს სამხედრო უწყებაშიაც მოისპო არამც თუ ჩინ-ორდენები, ჰაგონებიც კი: კავ- კასიის ფორნტის ჯარების მთავარსარდლის ამა წლის, ვ თებერვლის ბრძანება, ვგონებ, ყვე- ლა მოქალაქემ იცის.

ამის შემდეგ უექველი გვევნა, რომ საქართველოს საკათალიკოსოს უმაღლესი მთავ- რობაც ისე მოიქცეოდა სასულიერო „ლენინ- ლების“ და „მდაბიო მოქალაქეთა“ შესახებ.

მაგრამ — პოი, საკვირველებავ! — ჩვენი სა- სულიერო „რევოლუციონური“ მთავრობა არამც თუ წარსულის შეცდომების გასწორე- ბის და თანასწორობის აღდგენას არ აპირობს პირიქით აქარებული ნაბიჯით განაგრძობს ძეელ რუსეთის სინოდის ტაქტიკას: მან მო- კლე ხანში მოვგეცა მთელი ჯგუფი ახალ არ- ქიმანდრიტ-დეკანოზებისა, რომელთა ამ სიხით აღმატებას მხოლოდ მათი საკუთარი სურვილი თუ მოითხოვდა და მეტი არაფერი, — არც სხვისი გასამხნევებელი მაგალითი, რაღაც ჩვენმა მთავრობამ თუ ვერ გაიგო, ჩვენ „მდა- ბიო მოქალაქებში“ მაინც ვიცით, რომ ჯილ- დოებით ეხლა ვერავის ვერ გააკირვებ და ხშირად, რამდენიმე მაინც, ჩირქიც ეცხება დაჯილდოვებულსა და უფრო კი დამაჯილდო-

ვებელსა,—და არც ნამდვილი ღირსება დაჯილ-ლოვებულთა, ვინაიდან, როგორც ჩვენის გა-ზეთის პირველ ნომრიდან გავიგეთ, სათავილო პირიც კი ჰყოლიათ თურმე დასჯილდოვე-ბელთა სიაში მოქცეული და მხოლოდ ერთ-ერთ შიტროპოლიტის გაბედულ სიტყვას შე-უშლია ხელი ამ სამარცხვინო სუმისათვის.

ასე არ აპირობდა ქართველი ერი. ჯერ კიდევ 1906—1909 წლებში ისტამბებოდა აღ-გილობრივ გაზეთებში წერილები, რომ ერთად ერთი ჯილდო მღვდელისათვის არის მრევლთან კეთილგანწყობილება და ნდობა. და ფრიად სამწუხაროა, რომ ასეთი საანბანო კეშმარიტე-ბის განმეორება გვაძლევა 1918 წელს, როცა ჯილდოების მოსპობა თავისთავად უნდა მომ-ხდარიყო, თუ გინდ სხვათა მიბაძვით, თუ სა-კუთარი გონიერა ვერ მოგვიწვდებოდა იქამდის.

ნამდვილად კი სულ სხვასა ვხედავთ და ვერ გაგვიგია, რა არის ესა: სამწუხარო გაუ-გებრიათ თუ მიზან შეწონილი გათიშვა სამ-დღელოებისა ორ ბანაკად, ძველის ინერცი-ული გაგრძელება თუ შეუგნებელთა შეგნე-ბული მოსყიდვა, უმრავლესობის აზრის უცო-დინარობა თუ აშკარა დაცინვა რევოლიუციის ლოზუნებისა,— „ვინც რა უნდა თქვასო, წის-კვილში კი ფქვისო“?

ან შეიძლება ბოლშევიკების ტაქტიკისა არ იყოს, განზრას ჰქმიან ისეთ სულთაგან-წყობილებას, რომ, სალდათების მიერ ოფიცი-რების პავინების ახდის მსგავსად, თვით ხალ-ხმა აპეაროს მორევოლიუციონერები ხუცებს იმპერიალისტური ემბლემები...

საცოდავი ჯილდოები! წყეული ჯილდო-ები! არ გვაკმარეს, რაც გააფუჭეს და კიდევ რამდენ რასმე გააფუჭებენ ეგ ბოროტი სუ-ლის ქმნილებანი!!! *)

ახუთელი.

ქურნალ-გაზეთებისათვის

გაზ: „საქართველო“-ში (21 ოქტომბერი, № 39) დაბეჭდილია შემდეგი ლია წერილი არქიმან-დრიტ ნაზარისა თბილისის ანხისხატის ტაძრის წინამდებრის მდგდ. ნიკიტა თალაქვაძისადმი:

„დეკ. ნ. თალაქვაძემ, თორმეტ მარტიდან მოყოლებული, თავის „სასიქადულო მოღვა-წეობის“ საგნად ჩემი ლანძღვა და თრევა გა-იხადა. როდესაც ამის გამო მე მას კულტუ-რული დაკმაყოფილება მოვსთხოვე („საქარ-თველო“ 1917 წ. № 269), თავმომწონედ განაცხადა რომ „არქიმანდრიტ ნაზართან სა-მედიატორო სამართალში გასვლა მეტად მი-მაჩინია“ („საქართველო“ 1917 წ. № 276). ეხლა კი, როდესაც მისი ზეობრივი ფიზი-ონომია საკმალ გამოვარკვიე („საქართველო“ 1918 წ. № 31), მას საჭირო დაუნახავს სემედიატორო სამართალი, ასეთი ულოდიკო-ბა, მეტი რომ არა ესთქვათ, გასაოცარია: როდესაც მე მათრევდა და მლანძღავდა ჩვენი სახელოვანი „მამულიშვილი“, ჩემთან სამედი-ატორო სამართალში გამოსვლა მისთვის სათა-კილო იყო, ეხლა კი, როდესაც მე მის პირო-ვნებას შევეხე, არაა სათავილო! მას შემდეგ, რაც. დეკ. თალაქვაძემ სამედიატორო სამარ-თალს უტიფრად გაექცა, მე, იძულებული შე-ვიქნი ის ზეობრივიდ გატყებილ გასილაქე-ბულათ გამომეტხადებია („საქართველო“ 1917 წ. № 280); ამით მან ყოველივე უფ-ლება დაჰკირგა, ისეთ მაღალ და ფაქიზ ინ-სტიტუტისათვის მიემართა, როგორიც სინდისის სამართალია; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თბილისის საეპარქიო სამღვდელოების კრებამ მეთანაგრძნობა და ნდობა გამომიცხადა („სა-ქართველო“ 1918 წ. № 25); მიუხედავად ამისა მე დიდის სიამოვნებით ვეგებები მის წინადმდებას და ჩემის მხრივ მედიატორებათ ვასხელებ ბ. ბ. დავით გურამიშვილს და სეი-მონ ქვარიანს მხოლოდ შემდეგი პირობებით:

1) დეკ. თალაქვაძემ უნდა დაამტკიცოს ყველა ის ბრალდებანი, რომელიც მას წამო-უყენებია ჩემს წინააღმდეგ 1917 წ. 15 ოქტო-ბის „მოსხეხებაში“ და შემდეგ დროის საგა-ზეთო ინსინუაციებით.

*) რედაქციის შენიშვნა:

რედაქციის ეცდება ახლო მომავალში გამოს-თქვას თავისი აზრი არსებულ ჯილდოთა შესახებ.

2) მე მას დაუმტკიცებ, თანახმად მისი წინადაღებისა, ჩემ მიერ წარმყენებულ პრალეგათა („საქართველი“ 1918 წ. № 31) სინამდვილეს.

3) ვინც გამტყუნდება ჩვენ შორის, ის ვალდებულია, დაუყოვნებლივ დასტუფოს, როგორც სამღვდელოების წრე ისე თბილისი.“

ზარებაც, რომ დროა ბოლო მოეროს ამ გაუთავებელ კამათსა, რომელმაც „საქართველო“-ს თუ არა, მის მკითხველებს მანც მოაძეზრა თავი, და მართლაც სისრულეში მოყვანილ იქნეს არქ. ნაზარის პირობათა მესამე მუხლი.

**

გაზეთ „ეროობა“-ში (№ 39) ვინმე გართარაძე წერილში: „ვინ არიან ბალშევიკები“—ასახელებს რეელიუციის ოთხ მტერსა (თავად-აზნაურნი, ბურჯუები, სამღვდელოება და ჩინოვნიკები) და კერძოდ სამღვდელოების შესახებ შემდგას სწერს:

„მესამე მტერი გახლავთ სამღვდელოება. ეს უკანასკნელი დიდი ხანია გადაიქცა საზოგადოების სხეულის პარაზიტათ და რომ თავისი მცინარე, მშრომელ ხილებისთვის დადათ მანებელი, არსება შეინარჩუნოს, ლაქიობას უწევს ქვეყნის მმართველთ—კაპიტალისტებს და თავად აზნაურობას—ლაქიობას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ სამღვდელოება საყდრის და სკოლებში სამღ. რჯულის სწავლების საშუალებით მშრომელ ხილებს გონებას უბნელებს, უჩლუნებს აზროვნებას და ამ გვარათ უბრავებს თვალებს, რომ ვერ იცნოს თავის მტერი და მოყვარე ვერ შეიგნოს თავის უბედურების მიზეზები, რის გამოთაც იგი, მშრომელი ხალხი, დღევანდლამდის წარმოადგენდა ბრძან იარაღს, უსიტყვო მონას, ძლიერთა ხელში. ამ სამსახურისთვის სამღვდელოება შესაფერ ჯილდოსაც დებულობს მხოლოდ დღეს რევოლუციი აცხადებს სახელმწიფოს აგინ სკოლის და ეკლესიის გამოყოფას, იმდინარე, რომ ეს ცარიელ სიტყვათ არ დარჩება და ასლო მომავალში შეისხამს სისხლს და ხორცს. ამის შემდეგ სამღვდელოების ლაქიობა არავის დასკირდება, მაშასადამე ვედარუც გასამრჯელოს მიიღებს. აქედან დასკვნა შემდეგია — სამღვდელოება უნდა გარდაიქცეს რევოლუციის მოსის-

ხლე მტრათ. უნდა ხაზეასმით აღინიშნოს, რომ ეს მტერი ყველაზე უსაშინელესია, რაკი ხალხის შეუგნებელ ნაწილზე ჯერ კიდევ სარგებლობს გავლენით.“

მნელი გამოხატულია, სად გაიზარდა გ. ორთარაძე, მაგრამ ცხადია, რომ მას რუსის ბოლშევიკის სუნი ასდის, ვინაიდგან დღეს, როცა ჯერ კიდევ არ გაცივებულა გორის მაზრის ენებათა დელფის მსხვერპლთა გვამები, ასეთი მწერლობა „პოგრომშიკების“, პროკლამაციას უდრის. . .

ქრონიკა

პროვინციებიდან სამწუხარო ხმები მოგვდის. თურმე აქა-იქ თავი იჩინა მრევლის მხრივ სამღვდელოებისადმი უკიდურესმა უპარივერტლობამ მიმოვანაც კი, ვინც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბალშევიზმის და ანარქიის მომხრეებად ჩაითვალნენ. როგორ სინის ამას თბილელი სამღვდელოებაო, — გვეკითხებიან. სამწუხაროდ, არ ვიცით, არსებობს თუ არა ჩაიმე საერთო აზრი თბილელ სამღვდელოების, როგორც ჯგუფობრივ ერთეულისა, მაგრამ, რედაქციის აზრით, ეს მოვლენა მხოლოდ ქრონოლოგიურად თუ შეიძლება აიხსნას. შარშან მარტს რევოლუციონურ გზით საქართველოს ეკლესიის რუსეთის კაციჭამია სინოდიდან დამოუკიდებლობა გამოკადა. მთელი ერთ აღტაცებით მიეგება დიდებულ რევოლუციონურ აქტსა და სამართლიანად მოელოდა, რომ ავტოკეფალიის ფაქტიური განახლება და რეფორმები მოჰყვებოდა, მაგრამ ეს ნამდვილად ასე არ მოხდა — და ხალხმა მთელ წლის ამაო მოლოდინის შემდეგ ნდობა და კარგა სამღვდელოებისადმი და ხელი ჰქრა მასა, როგორც იმედების გამცრუებელს. გამოსწორება ჯერ კიდევ სამღვდელოების უნარის განახლებისა და სისულვილი მთლიად არ მოსდებია ფართო მასსას.

ექვსი თვეება, რაც ერთ-ერთი სამხედრო მღვდელი ვინმე ი. კ—ძე თბილისში მკერდიზე დ ატარებს ხან წმ. გიორგის ლენტრიან თქოს ჯვარს, რომელსაც განსაკუთრებითი სიმამაციისთვის აძლევდნენ სამხედრო უწყებაში,

და ხან არქიმანდრიტისებურ თვლებიან ჯვარსა, რომლის ტარება, არსებულ კანონით, მღვდელს შეეძლო მხოლოდ მას შემდეგ, როცა ის მიღებდა აწ გაუქმებულ, ეგრედ წოდებულ „კაბინეტის“ ჯვარსა. ბოლო დროს ამ უზომოდ „მამაც“ მღვდელია ყოველ დღე ნახავდით საკათოლიკოსო საბჭოს კანცელარიაში, სადაც იგი უკვე განმზადებული იყო საღვანოზოდ, მაგრამ ორ მარტს დოკუმენტალური ცნობა მივიღეთ, რომ იმ... „მოძღვარსა ჯერ არავითარი ოქროს და გიორგის ჯვარი არ დაუმსახურებია, გარდა ჩვეულებრივის თეთრ სამღვდელო ჯვრისა. ლოლიკური დასკვნა ორნაირია: იმ ხუცესს მართლაც რაღაც არა-ჩვეულებრივი ჯვარი ეკუთვნის სიცრუის არაჩვეულებრივ უნარისთვის და ჩვენს წარჩინებულ მოქადაგების უნდა მოეთხოვოს დასამრკიცებელი საბუთები იმ მენტლებ-ჯვრებორდენებისა, რომელნიც ჩამოზიდეს „ბრძოლის“ სხვა და სხვა ველიდან. ადვილი შესაძლებელია, რომ ი. კ-ძენი სხვებიც გამოჩნდენ.

✓ ყოფილი კვიმატი არამც თუ დღეები, წლებიც. საკათოლიკოსო საბჭოსთვის ასეთი აღმოჩნდა 1918 წლიწადი. იანგრის აქტთ საბჭოს სხდომები იშვიათად და კანტიკუნტად ხდება და უმეტესობა წევრებისა არ ესწრება.

ასეთივე მდგომარეობაშია საკათოლიკოსო სასამართლოც, რომლის მორიგი კრება დეკანიდან თებერვლის გასვლამდე მხოლოდ ერთხელ იყო.

ერთმა ყოვლად სანდო პირმა ჩვენი სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთ წევრს გადმოსცა პირად მის განკარგულებაში მოზრდილი რევული სათაურით „ავტოკეფალიის ქრისტიკები“. ხელნაწერი შექება მრავალ პირთ, რომელთაც რაიმე დადებით თუ უარყოფითი მონაწილეობა მიუღიათ ჩვენის გელეგის საქმეებში 1904 წლიდან 1917 წლის 12 მარტამდე. დაწვრილებით აღნიშნულია ბევრი რამ ისეთი, რაც საზოგადოებისთვის დღემდე ხელმიუწვდომელ საიდუმლოებას შეადგენდა. ჩედაქცია ეცდება ეს „ქრისტიკები“ თავის დროზე დაბეჭდოს ზოგიერთ გამონაკლისებით,

ერთბაშად თუ ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

ამ „ქრისტიკებში“ შემდეგს მარგალიტებს წავაწყილით. როცა არქიმანდრიტი ამბროსი, აწ კუნძილელი მიტროპოლიტი, სინოდმა დასაჯა და რუსეთში გადაიყვანა, თბილისის სამღვდელოების შეგნებულმა ჯაფრთმა გადასწყიტა პროტესტის ნიშნად ხატი მიერთმია დევნილ არქიმანდრიტისთვის. საჭირო ფულების მოგრძელება მიანდვეს ერთ მოწინავე მღვდელსა, თოთეულ პირს მოეთხოვებოდა მხოლოდ თეთო მანეთი. ფულების მომგრძოვებელს ერთმა აკადემიელმა მღვდელმა, თბილისის პირველ ხარისხოვან ეკლესიის წინამძღვარმა, უცხოურა: სიამონებით მოგართმევდი, მაგრამ ამ დროებით ისეთ გიჭირვებულ მდგომარეობაში ვარ, რომ არ შემიძლია მანეთი გავიღოთ. მეორემ—იმ დროს „ბლალოჩინმა“ და დღესაც რაღაცა მაგის მსგავს თანამდებობის დეკანოზმა, უთხრა: მოგართმევდი მანეთს, რომ ვიცოდე, თუ ნამდვილად რისთვის დაისაჯა არქიმანდრიტი ამბროსიო. ?!?

დეკანზებად აკურთხეს შტაცს გარეშე მყოფი მღვდლები ისებ ჩიჯავაძე და ივანე ჩხერიელი და ყოფილი სამხედრო მღვდელი კუკის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიისა დავით გარსიაშვილი.

✓ როგორც გაღმოგვცემენ იმერეთის მიტროპოლიტი ანტონი თავს ანებებს თანამდებობას და მიდის საცხოვრებლად ერთ ერთს მონასტერში. დროებით კი რჩება თავის დაგილზე ამა წლის ორ მაისამდე. ქუთათელ მიტროპოლიტად იგი არჩეულ იქმნა 1917 წ. 17 სექტემბერს. მანამდე მასხურობდა გორის ეპისკოპოსად; იგი დადგენილ იქმნა ამ კათედრაზე ეგზარხოს ინნოკენტის მიერ, დავით ეპისკოპოსის მაციერ, რომელიც იმიგ ინნოკენტისაგან, როგორც მაშინდელ რეფიმისათვის მავნე პარი, გაძევებულ იქმნა საქართველოდან..

გამომცემელი „ახალ სიტყვის“ სარედაქციო კოლლაგის რწმუნებული მდ. ქრ. ციცქიშვილი.